

წლიური ანგარიში

MCERC
Media and Communication Educational and Research Center

მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის

წლიური ანგარიში 2021

MCERC

სარჩევი

ცენტრის თავმჯდომარის მიმართვა	4
ცენტრის შესახებ	6
2021 წლის აქტივობები	8
ჩვენი პარტნიორები	28
ჩვენი გუნდი	30

ცენტრის თავმჯდომარის მიმართვა

მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი უკვე ექვსი წელია არსებობს. ჩვენი გუნდის თითოეული წევრისთვის პრიორიტეტულია ის ფასეულობები, რომლებიც ამ წლების განმავლობაში გვაერთიანებს. მედია და განათლება დემოკრატიის ქვაკუთხედია. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიაგარემოს გაჯანსაღება და განათლების მხარდაჭერა, რადგან ეს პირდაპირ მოქმედებს დემოკრატიის ხარისხზე.

მყიფე დემოკრატიის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, 2021 წელი ლაკმუსის ქაღალდი აღმოჩნდა მედიაგარემოში არსებული საფრთხეების აღქმის კუთხით. 5-6 ივლისის მოვლენებმა (როცა დემონსტრაციის გაშუქებისას ათობით ჟურნალისტი დაშავდა და ძალადობრივი ქმედებების შედეგად ოპერატორი გარდაიცვალა) დაგვანახა, რომ საჭიროა მეტი ფოკუსირება ადამიანის უფლებების დაცვისა და მხარდამჭერი მედიაგარემოს შექმნის მიმართულებით.

ამიტომ 2021 წლის ივლისში ჩვენ დავსახეთ საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ახალი პრიორიტეტები, რომელთა შორის გამოიკვეთა ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვაში ჩვენი წვლილის შეტანა, ჟურნალისტების უსაფრთხოებასა და მედიაგარემოს გაუმჯობესებაზე კომპლექსური მუშაობა, ქალთა და გოგონათა განათლების და თანასწორობის მხარდაჭერა და სხვ.

2021 წელი მნიშვენლოვანი ცვლილებების წელი იყო ჩვენი ორგანიზაციისთვის. ჩვენს გუნდს შემოემატნენ ახალგაზრდა მკვლევრები, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები, გამოქვეყნდა კვლევები, მათ შორის საერთაშორისო გამოცემებში. ამისთვის მადლობა ჩვენს ერთგულ მხარდამჭერებს, დონორ ორგანიზაციებს და პარტნიორებს, რომლებთან ერთადაც საინტერესო გზა გავიარეთ.

ახალ წელს ახალი პროექტების და მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინი გვაქვს. იმედია, ჩვენი ორგანიზაცია თავის წვლილს შეიტანს ქვეყნის და მედიის დემოკრატიზაციის, და რაც მთავარია, ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესში.

პატივისცემით,

MCERC-ის შესახებ

ა.(ა)ი.პ. მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი დაარსდა 2015 წელს. საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობებით და ცენტრის წესდებით. ცენტრის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საერთო კრება. ცენტრის ხელმძღვანელი ორგანოებია: დამფუძნებელები; საერთო კრება; გამგეობა; თავმჯდომარე. ორგანიზაციის თავმჯდომარედ 2021 წლის ივლისში გამგეობამ მეორე ვადით აირჩია პროფესორი (თსუ) მარიამ გერსამია.

ცენტრის მიზანია მედიის და მასკომუნიკაციის სფეროს განვითარება, საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის და ახალი ცოდნის შექმნის გზით მედიაწიგნიერების ამაღლების და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების ხელშეწყობა. ასევე, ინტერდისციპლინური ცოდნის ტრანსფერი და მედიის და მასკომუნიკაციის, მედიაფსიქოლოგიის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში კონსულტირება.

ჩვენი მისიაა მედიის განვითარებისა და გაძლიერებისთვის ჟურნალისტების განათლების მხარდაჭერა.

ჩვენი ხედვაა პროფესიონალური მედიის მხარდაჭერა დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის.

ჩვენი ღირებულებებია:

- თქვი სიმართლე
- შექმენი საანდო გარემო
- იზრუნე განვითარებაზე
- წაახალისე კრეატიულობა
- დააფასე მრავალფეროვნება

2021

წლის აქტივობები

კვლევა: ქალების ხმა და გენდერული თანასწორობის გამოწვევები ქართულ მედიაში[1]

ავტორები: მარიამ გერსამია, მაია ტორაძე, ლიანა მარქარიანი



2021 წელი დაიწყო MCERC-ის გუნდის მიერ ჩატარებული კვლევის გამოქვეყნებით, რომელიც გენდერული თანასწორობის პერსპექტივიდან აანალიზებს საქართველოში არსებულ მედიაგარემოს. მისი მიზანია მედია-ორგანიზაციებში დომინანტური სტერეოტიპების იდენტიფიცირება. საქართველოში მწვავე პრობლემას წარმოადგენს ფემიციდი, ოჯახური ძალადობა, ქალების დასაქმება, ადრეული და იძულებითი ქორწინება, სექსუალური შევიწროება, ქალი ჟურნალისტების შანტაჟი. გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების დონე კი არის დაბალი.

1 | https://www.igi-global.com/chapter/the-voice-of-women-and-challenges-of-gender-equality-in-georgian-media/267637

კვლევა პასუხს სცემს კითხვებს:

რა სოციოკულტურული კონტექსტი და საბაზისო ფსიქოლოგიური მოტივატორები უბიძგებს ქალებს – აირჩიონ ჟურნალისტიკა პროფესიად?

არის თუ არა ქართულ მედიაში (ტელე-რადიო, ბექდურ და ონლაინ მედიაში) გენდერული უთანასწორობა დასაქმების კუთხით და თუ „არის“ როგორ ვლინდება ის?

არის თუ არა წინასწარგანსაზღვრული თემები, რომლებსაც სპეციფიკის მიხედვით აშუქებენ ქალი ან კაცი ჟურნალისტები?

რომელი გენდერული სტერეოტიპები დომინირებს ქართულ მედია ორგანიზაციებში?

კვლევა გამოქვეყნდა წიგნში: Handbook of Research on Discrimination, Gender Disparity, and Safety Risks in Journalism, თავი: XIII, გამომცემელი: IGI Global, 2020, DOI: 10.4018/978-1-7998-6686-2.ch013

საერთაშორისო თანამშრომლობა მედიის განვითარებისთვის სამხრეთ აზიასა და კავკასიაში

მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი (MCERC) და Media Action Nepal (MAN) 11 აგვისტოს შეთანხმდნენ მედიის ხარდამჭერი ქსელის შექმნასა და გაძლიერებაზე სამხრეთ აზიასა და კავკასიაში.

თანამშრომლობა მიზნად ისახავს ერთობლივი კვლევების განხორციელებას, გაცვლით მედია-პროგრამებს და საერთაშორისო მხარდამჭერი ქსელის განვითარებას. ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, ორივე ორგანიზაციის ხელშეწყობით ჩატარდება ერთობლივი ვებინარები, ტრენინგები და დისკუსიები ჟურნალისტებისთვის ისეთ თემებზე, როგორიცაა: მედიაწიგნიერება, გენდერული თანასწორობა, ციფრული მედია, მედიაფსიქოლოგია, ე.წ. ფაქტჩეკინგი, ჟურნალისტების უსაფრთხოება და სხვ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს MAN-ის თავმჯდომარემ ლაქსმან პანტმა და MCERC-ის თავმჯდომარემ მარიამ გერსამიამ.

კვლევის ონლაინ პრეზენტაცია

„წინასაარჩევნო მედიაბარომი: საფრთხეები, მოლოდინები, რეკომენდაციები“

მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო დაკვლევითმა ცენტრმა (MCERC) კვლევის – „წინასაარჩევნო მედიაგარემო: საფრთხეები, მოლოდინები, რეკომენდაციები“ – ონლაინ-პრეზენტაცია გამართა. კვლევა გამოკვეთს, რა გამოწვევების და საფრთხეების წინაშე არიან მედიაში დასაქმებულები წინასაარჩევნო პერიოდში და პასუხობს კითხვებს:

- რამდენად დაცულად გრძნობენ თავს მედიაში დასაქმებული პირები პროფესიული საქმიანობისას?
- რა ტიპის საფრთხეების მოლოდინი აქვთ წინასაარჩევნოდ და რომელი ჯგუფებისგან?
- რა შეიძლება გააკეთოს მედიამ იმისთვის, რომ მედიაში დასაქმებული პირები იყვნენ უფრო უსაფრთხოდ? და სხვ.

კვლევის ფარგლებში, 2021 წლის 28 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით, ჩატარდა მედიაში დასაქმებული პირების ონლაინ-გამოკითხვა. სულ 56 მედიასაშულებიდან (ამათგან 18 რეგიონალური მედია) გამოიკითხა 183 რესპონდენტი, მათ შორის ჟურნალისტები, ოპერატორები, რედაქტორები, პროდიუსერები, მედიამენეჯერები, ფოტოგრაფები, ბლოგერები და სხვ.

კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს მხარდამჭერი მედიაგარემოს შექმნას, სოლიდარობის წახალისებას და კოორდინაციის გაუმჯობესებას, როგორც კრიზისების დროს ასევე, მის შემდეგ.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა პროექტის „SAFE Media" ფარგლებში, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს უსაფრთხო და მხარდამჭერი მედიაგარემოს შექმნას და რისკების შემცირებისთვის (წინასაარჩევნო და შემდგომ პერიოდში) ეფექტური მექანიზმების დანერგვას.

კვლევის შედეგები წარმოადგინა MCERC-ის თავმჯდომარემ, თსუ-ს სრულმა პროფესორმა მარიამ გერსამიამ. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელსაც მოდერაციას უწევდა MCERC-ის გამგეობის წევრი, ასოცირებული პროფესორი (თსუ) მაია ტორაძე. პრეზენტაციას ესწრებოდნენ აკადემიური სფეროს, მედიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

პროექტი ხორციელდება ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის - სამხრეთ კავკასიის ოფისის და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

კვლევის პირველი ფაზის ძირითადი მიგნებებია:

- მედიაგარემო და მედიაში დასაქმებული პირებისთვის სამუშაო პირობები 2021-ის წინასაარჩევნო პერიოდში საგანგაშო და სხვადასხვა საფრთხის შემცველია;
- 56 მედიასაშუალებაში (მათ შორის, 18 რეგიონულ მედიაში) დასაქმებული 183 გამოკითხულიდან 78 % პასუხობს, რომ, 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს მედიაგარემო შეიცვალა უარესობისკენ; მათი შეფასებით, სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან მედიის მიმართ პირდაპირი და ირიბი ძალადობა და ზოგადად არსებული საფრთხეები, მზარდია, რაც ნეგატიურად აისახება წინასაარჩევნო მედიაგარემოზე. მხოლოდ 3.2 %-ის აზრით, მედიაგარემო შეიცვალა უკეთესობისკენ.

წინასაარჩევნო მედიაგარემოს შეფასებისას, გამოკითხულთა 63 % (N=117) პასუხობს, რომ პროფესიული საქმიანობისას, მედიაში დასაქმებული პირების უსაფრთხოება დაცული არ არის. მხოლოდ 8.2 % პასუხობს, რომ ძალიან ან მეტწილად დაცულია.

მოსალოდნელი საფრთხეებიდან მედიაში დასაქმებულ პირთა უმრავლესობას (85 %) აქვს ვერბალური და ფიზიკური ძალადობის მოლოდინი; სხვა საფრთხეების – პირ-დაპირი და ირიბი ძალადობის (პროფესიის გაუფასურება, ჟურნალისტების მუდმივი დაცინვა, დადანაშაულება, ჭორების გავრცელება, დაშინება, დისკრიმინაცია, შანტაჟი და სხვ.) შეფასებისას ასევე მაღალია პროცენტული მაჩვენებელი (40 %-ზე მეტი).

- გამოკითხულთა 89 % - ის აზრით, მედიაში დასაქმებული პირების მიმართ აგრესია და ზოგადად საფრთხეები წინასაარჩევნოდ გაიზრდება. გამოკითხულთა 11 % აღნიშნავს, რომ არ იცის, გაიზრდება თუ არა აგრესია და საფრთხეები. არცერთი რესპონდენტი არ პასუხობს, რომ "არ გაიზრდება".

მედიის წარმომადგენლებს საფრთხეების მოლოდინი აქვთ სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან. გამოკითხულთა ყველაზე მეტ, 83 %-ს ასეთი მოლოდინი აქვს ანტიდასავლურად განწყობილი ჯგუფებისგან, ხოლო 79 %-ს - ხელისუფლების მხრიდან. ასევე, ძალადობის მოლოდინის მაღალი მაჩვენებელია რელიგიური დაჯგუფებების, სოცქსელის მომხმარებელებისა და კრიმინალური ჯგუფების მხრიდან (50 -70 %-მდე). მნიშვნელოვანია ირიბი ძალადობის ფორმების გამოყენებაც, რაც გულისხმობს მედიაში დასაქმებული ადამიანების შესახებ ჭორების, მოგონილი ამბების პერმანენტულად გავრცელებას. ამას კონკრეტული ზიანის მოტანა შეუძლია და მისი „რბილი" ეფექტის გამო, შესაძლოა რეგირების გარეშეც კი დარჩეს.

მედიის წარმომადგენლებმა გამოხატეს მოსაზრება კრიზისის დროს თავად მედიის მხრიდან შემუშავებულ/შესამუშავებელ უსაფრთხოების მექანიზმებთან დაკავშირებით. რესპონდენტების 74%-ის აზრით, იმისთვის, რომ მედიაში დასაქმებული პირები უფრო უსაფრთხოდ (ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად) იყვნენ, მედიამ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

- მნიშვნელოვან მექანიზმად დასახელებულია დაზარალებულების დროული სამართლებრივი მხარდაჭერა (70 %), ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიისა და ჟურნალისტებისადმი სოლიდარობის გამოხატვა (69 %), მედიისადმი აგრესიულად განწყობილი ჯგუფებისთვის საეთერო დროის შეზღუდვა (64 %), სოცქსელებში იმ მომხმარებლების გამოვლენა, რომლებიც ახალისებენ ჟურნალისტების მიმართ ძალადობას (59 %), უსაფრთხოების თემებზე (კრიზისების და დემონსტრაციების გაშუქების თემებზე) ტრენინგების ჩატარება (39 %), დაზარალებულების დროული ფსიქოლოგიური მხარდაჭერა (32 %) და სხვ.

მედიაში დასამქებული პირების ონლაინ-გამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის 28 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით. რესპონდენტებთან დაკავშირება მოხდა ონლაინ, სოციალური ქსელის მეშვეობით. გამოყენებული იყო „Facebook"-ის დახურული ჯგუფები, სადაც გაწევრიანებულნი არიან მედიაში დასაქმებული პირები, მათ შორის: ჟურნალისტები, ოპერატორები, რედაქტორები, პროდიუსერები, მედიამენეჯერები, ფოტოგრაფები, ბლოგერები და სხვ. კვლევის მეთოდად გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევა - ონლიან გამოკითხვა; კვლევის ინსტრუმენტად შეირჩა: სტრუქტურირებული კითხვარი, დახურულ-ბოლოიანი კითხვებით (სულ 11 კითხვა, დემოგრაფიული ბლოკის ჩათვლით);

კვლევის ანგარიშის სრული ვერსია გამოქვეყნდება მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის ვებ-გვერდზე: www.mcerc.ge

გაშუქება მედიაში: https://bit.ly/3kjcFNG

ტრენინგები და მასტერკლასები PR-სა და კომუნიკაციის სტრატეგიებში

მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითმა ცენტრმა (MCERC) თბილისიდან დაიწყო ტრენინგებისა და მასტერკლასების სერია თემაზე „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის სტრატეგიები - 101“ .

5 სექტემბერს, თბილისში გამართულ ტრენინგში მონაწილეობდნენ PR-ით და მედიასთან ურთიერთობით დაინტერესებული სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდები. მომდევნო ტრენინგი გაიმართა ბათუმში. სულ ტრენინგები ჩაუტარდა 40-მდე მონაწილეს. მათ შორის იყვნენ ფსიქოლოგები, საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტები, სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა შექმნეს საჯარო განცხადების აუდიოსცენარი („sound scripting“) და კამერის წინ იმუშავეს მესიჯის კონსტრუირებაზე. ასევე, მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ ბრიფინგსა და დებატებში.

ტრენინგები აგებულია მედიაფსიქოლოგის, პროფ. მარიამ გერსამიას საავტორო კურსის (PR 101) მიხედვით, შედგება თეორიული და პრაქტიკული მოდულებისგან და მოიცავს თემებს:

- კომუნიკაციის მოდელები, სხეულის ენა;
- მედიამეხსიერება და მესიჯის სტრუქტურა;
- ხმის/აუდიო სცენარის შექმნა („sound scripting“) ;
- საჯარო გამოსვლების და დებატების ხელოვნება;
- ბრიფინგის ორგანიზება;
- მედიასთან ურთიერთობა: კრიზისულ სიტუაციებში საპასუხო გეგმის მომზადება;
- მედია და ემოციები: რატომ გვიზიდავს ნეგატიური ამბები?
- სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმის მომზადება;

ტრენინგები და მასტერკლასები განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს გაიღრმავოს ცოდნა და შეიძინოს პრაქტიკული უნარები PR-ისა და მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. MCERC განსაკუთრებულ მადლობას უხდის თსუ-ს კურსდამთავრებულს, ჟურნალისტსა და მედიის მკვლევარს თამარ კურატიშვილს ტრენინგის ორგანიზებაში ჩართულობისთვის.

PUBLIC
RELATIONS

საერთაშორისო კონფერენცია „სოციალურ მეცნიერებებში აქტუალური პერსპექტივები“ MCERC-ის მონაწილეობით

9 სექტემბერს საერთაშორისო ონლაინ კონფერენციაზე - “LAW, BUSINESS AND INNOVATION STUDIES (LBIS)“ - რომლის ფოკუსი წელს იყო “სოციალურ მეცნიერებებში აქტუალური პერსპექტივები,“ MCERC-ის თავმჯდომარე, პროფ. მარიამ გერსამია, MCERC-ის გამგეობის წევრი, ასოც. პროფესორი მაია ტორაძე და მედიაფსიქოლოგი ლიანა მარქარიანი წარდგნენ მოხსენებით: „გენდერული სტერეოტიპები და ქალი ჟურნალისტების წინაშე არსებული საფრთხეები ქართულ მედიაში (2019-2021)“. კონფერენციაზე ავტორებმა ისაუბრეს სამფაზიანი კვლევის შედეგებზე და სამომავლო პერსპექტივებზე.

კონფერენციის სპეციალურ სესიას, რომელიც გენდერულ თანასწორობას და ქალთა ჩართულობას მიეძღვნა, პროფ. მარიამ გერსამიამ უხელ-მძღვანელა. კონფერენცია 9 სექტემბერს დაიწყო და 11 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდა. მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.



თანამშრომლობა გენდერული თანასწორობისა და ქალთა ჩართულობის გაზრდისთვის

12 ნოემბერს MCERC-ის თავმჯდომარემ, პროფ. მარიამ გერსამიამ მონაწილეობა მიიღო ტექნოლოგიებში ქალთა მხარდამჭერ ყოველწლიურ ფორუმში Women in IT Georgia, რომლის ორგანიზატორი იყო ქართული IT ინტეგრატორი LAB-ი და ამერიკული კომპანია Hewlett Packard Enterprise.

პარტნიორი ორგანიზაციის (LAB) ღონისძიების ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაზე მარიამ გერსამიამ ისაუბრა მედიის როლზე გენდერული სტერეოტიპების შეცვლაში, STEM-ის მიმართულებით ქალების და გოგონების ჩართულობის გაზრდის მნიშვნელობაზე და განათლების როლზე. ამ თემით, 15 ნოემბერს მარიამ გერსამია და LAB-ის აღმასრულებელი დირექტორი ანა კაჭიური სტუმრობდნენ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შუადღის ეთერს.

ᲘᲮ. ᲚᲘᲜᲙᲘ: https://fb.watch/9oVQI4gOTg/

დისკუსიები მედიის წარმომადგენლებთან

წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მხარდამჭერი გარემოს გაძლიერებისთვის, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის (MCERC) ორგანიზებით და "ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი - თავისუფლებისთვის"– სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით, მედიამენეჯერებთან და ჟურნალისტებთან რამდენიმე დისკუსია გაიმართა თემაზე „წინასაარჩევნო მედიაგარემო, არსებული საფრთხეები და კრიზისული სიტუაციების გაშუქების გამოწვევები".

დისკუსიაზე გამოიკვეთა წინასაარჩევნოდ მედიაგარემოში არსებული საფრთხეები, შემაშფოთებელი ტენდენციები და ჟურნალისტების უსაფრთხოების დასაცავად არსებული შესაძლებლობები.

კვლევის პრეზენტაცია და დისკუსია

„მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და შემდგომ: საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები“ - ასე ჰქვია კვლევას, რომლის პრეზენტაცია მედიის და კომუნიკაციის სანგანმანათლებლო-კვლევითმა ცენტრმა 18 ნოემბერს გამართა. „თბილისი მერიოტში“ გამრთულ პრეზენტაციას ესწრებოდნენ ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის, მედიის, არასამთავრობო სექტორის და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და სტუდენტები.

აღნიშნულმა კვლევამ დაადგინა, რა თავისებურებებით გამოირჩეოდა 2021 წლის არჩევნების მედიაგარემო საქართველოში. კვლევა მოიცავს რეკომენდაციებს უსაფრთხო და მხარდამჭერი მედიაგარემოს შექმნისთვის. კვლევა გამოკვეთს, რა გამოწვევების და საფრთხეების წინაშე არიან მედიაში დასაქმებულები წინასაარჩევნო პერიოდში და პასუხობს კითხვას - თუ როგორ მოქმედებს პოლიტიკური პოლარიზაცია და კრიზისები მედიაზე. ღონისძიება გადაიცემოდა Facebook Live-ით:

https://fb.watch/9qOR9ru-eX/

ღონისძიება გახსნა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის, სამხრეთ კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელმა პიტერ-ადრეას ბოხმანმა. კვლევის შედეგებზე ისაუბრა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა, MCERC-ის თავმჯდომარემ მარიამ გერსამიამ. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა პანელური დისკუსია, რომელსაც მოდერაციას უწევდა მაია ტორაძე, წარმოდგენილი კვლევის ერთ-ერთი ავტორი, MCERC-ის გამგეობის წევრი და უფროსი მკვლევარი.

პანელურ დისკუსიაში მონაწილობდნენ:

- ზურა ვარდიაშვილი, ონლაინმედია „publika.ge"-ის რედაქტორი, რომლმაც ისაუბრა თემაზე „ციფრული მედიაგარემო და ონლაინ მედია არჩევნების დროს";
- გიორგი თარგამაძე, ტელეკომპანია „ფორმულას" გადაცემის ავტორი და წამყვანი, რომელმაც ისაუბრა თემაზე „პოლიტიკის გავლენა მედიაგარემოზე";
- ნათია ტრაპაიძე, ტელეკომპანია „მთავარი", ჟურნალისტი, რომელმაც ისაუბრა თემაზე „მხარდამჭერი მედიაგარემო და სოლიდარობა მედიაში".

ღონისძიების ფარგლებში დისკუსიაში ჩაერთნენ მედიის და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. კერძოდ: „ტვ პირველის" ტოკ-შოუს წამყვანები ეკა მიშველაძე და ვიკა ბუკია, ტელეკომპანია „მთავარის" ტოკ-შოუს წამყვანი და ჟურნალისტი ნათია გოგსაძე, ტელეკომპანია „მაესტროს" პროდიუსერი თორნიკე კოშკაძე, "პალიტრანიუსის" საინფორმაციოს უფროსი ეკა წივწივაძე, ონლაინგამოცემა "ტაბულას" რედაქტორი ანა გვარიშვილი, "Gnomon Wise"-ის მედია მკვლევარი დავით ქუტიძე, "მედიის უფლებების" მკვლევარი ეკა ბასილაია და სხვები.

ღონისძიების შეჯამების შემდეგ, MCERC-ის წარმატებული სტაჟიორები გიორგი თარგამაძემ და ზურა ვარდიაშვილმა სერტიფიკატებით დააჯილდოვეს.

კვლევა მომზადდა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის - სამხრეთ კავკასიის ბიუროს და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom South Caucasus

Auswärtiges Amt

კვლევის ონლაინვერსია იხილეთ ბმულის და ფაილის სახით: https://bit.ly/3HJ32CG

MCERC
Media and
Communication
Educational and
Research Center

კვლევა

მედიაგარემო არჩევნებამდე და შემდგომ: საფრთხეები და მხარდამჭერი ინსტრუმენტები

კვლევამ დაადგინა, რა თავისებურებებით გამოირჩეოდა 2021 წლის არჩევნების მედიაგარემო საქართველოში. კვლევა გამოკვეთს, რა გამოწვევების და საფრთხეების წინაშე არიან მედიაში დასაქმებულები წინასაარჩევნო და კრიზისების პერიოდში და პასუხობს კითხვას - თუ როგორ მოქმედებს პოლიტიკური პოლარიზაცია და კრიზისები მედიაზე. კვლევა მოიცავს რეკომენდაციებს უსაფრთხო და მხარდამჭერი მედიაგარემოს შექმნისთვის.

კვლევა მომზადდა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის - სამხრეთ კავკასიის ბიუროს და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

კვლევის სრული ვერსია იხილეთ აქ: https://bit.ly/3HJ32CG

მედია და პოლიტიკური ჩართულობა

27 ნოემბერს, Robert Schuman Institute (RSI)-ის, Wilfried Martens Center for European Studies (WMCES)-ის და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ორგანიზებული მოდულის "Rule of Law Academy for Eastern Partnership countries" ფარგლებში, MCERC-ის თავმჯდომარემ, მედიაფსიქოლოგმა მარიამ გერსამიამ წაიკითხა სემინარი თემაზე „მედია და პოლიტიკური ჩართულობა". სემინარის შემდეგ 12 ახალგაზრდა პოლიტიკოსთან (სომხეთიდან, ბელორუსიდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან) პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის, კომუნიკაციის დაგეგმვის, მედიის ზეგავლენის შესახებ დისკუსია გაიმართა.

მემორანდუმი უნივერსიტეტ "ალტერბრიჯთან"

15 დეკემბერს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა MCERC (მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო კვლევით ცენტრსა) და მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯს“ შორის.

MCERC-ის მხრიდან მემორანდუმს ხელი მოაწერა ცენტრის თავმჯდომარემ მარიამ გერსამიამ, ხოლო უნივერსიტეტის მხრიდან რექტორმა ნათია გოცაძემ. "მიხარია, რომ პარტნიორული ურთიერთობის ფარგლებში საშუალება გვეძლევა სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ჩავრთოთ მედიისა და კომუნიკაციის საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის მიერ ინიცირებულ პროექტებში, ასევე ერთობლივად დავგეგმოთ სხვადასხვა მასშტაბური ღონისძიება საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე. მჯერა, ჩვენი თანამშრომლობა ორმხრივად სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება" - აღნიშნა "ალტერბრიჯის" რექტორმა ნათია გოცაძემ.

შეთანხმების მიზანია უმაღლესი განათლების განვითარებაში წვლილის შეტანა, მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური კადრებით შრომის ბაზრის უზრუნველყოფა, ურთიერთთანამშრომლობის ისეთი სისტემის ფორმირება, რომელიც შეესაბამება განათლების საერთაშორისო სტანდარტებსა და თანამედროვე კარიერული წინსვლის მოთხოვნებს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ განახორციელებენ ერთობლივ მიზნობრივ პროგრამებს/პროექტებს, დაგეგმავენ და განახორციელებენ კვლევით საქმიანობას, ერთობლივ კონფერენციებსა და პრაქტიკულ საგანმანათლებლო აქტივობებს, რომლებიც მიმართული იქნება პიროვნების ინტელექტუალური, შემოქმედებითი და პროფესიული პოტენციალის რეალიზებისკენ, შრომის ბაზრის მოთხოვნილებების ადეკვატური კადრების მომზადებისა და გამოვლენისკენ.

ალტერბრიჯი
მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

ჩვენს თანამშრომლობას აერთიანებს ღირებულებები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატებულად სწავლის წინაპირობაა. ეს ღირებულებები მოიცავს მრავალფეროვნების პატივისცემას, პროფესიონალიზმის და კრეატიულობის დაფასებას, თავისუფლების სიყვარულს, გუნდურობის პატივისცემას და სხვ. „ალტერბრიჯის“ გუნდთან ერთად საინტერესო ერთობლივ პროექტებს ვგეგმავთ, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებას და განვითარებას - აღნიშნა MCERC-ის თავმჯდომარემ მარიამ გერსამიამ.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ "ალტერბრიჯის" ვიცე რექტორი და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი მაკო ჯაოშვილი, მასკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი თამთა ჯინჯოლავა და MCERC-ის გამგეობის წევრი მაია ტორაძე.

MCERC-ს წლების მანძილზე ნაყოფიერად თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და კავკასიის უნივერსიტეტთან.

მემორანდუმი კომპანია „LAB”-თან

20 დეკემბერს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა MCERC (მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო კვლევით ცენტრსა) და კომპანია LAB-ს შორის. MCERC-ის მხრიდან მემორანდუმს ხელი მოაწერა ცენტრის თავმჯდომარემ მარიამ გერსამიამ, ხოლო LAB-ის მხრიდან აღმასრულებელმა დირექტორმა ანა კაქიურმა.

მემორანდუმის მიზანია არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, საერთო ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ტრენინგების, საჯარო ლექციების განხორციელება და ორგანიზება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ განახორციელებენ ისეთ ერთობლივ საგანმანათლებლო აქტივობებს, რომლებიც მიმართული იქნება პიროვნების ინტელექტუალური, შემოქმედებითი და პროფესიული პოტენციალის რეალიზებისკენ.

”

მედიისა და კომუნიკაციის სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების და მეცნიერების შესახებ განათლების გავრცელება და ინოვაციური ცოდნის პოპულარიზაცია. კომპანია LAB-თან თანამშრომლობა მოიცავს ისეთ აქტოვობებს, რომელიც ქალთა და გოგონების მეცნიერების სხვადასხვა (მათ შორის მედიის და ტექნოლოგიების) სფეროში ჩართულობის გაძლიერებას და წახალისებას გულისხმობს,“ - აღნიშნა აღნიშნა MCERC-ის თავმჯდომარემ მარიამ გერსამიამ.

„ძალიან მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების და მეცნიერების სფეროში მედიის და განათლების სექტორთან თანამშრომლობა, ინოვაციების პოპულარიზაცია, ქალთა ჩართულობის გაზრდა და მხარდაჭერა. კომპანია LAB-ი თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან და მოწოდებულია, მხარი დაუჭიროს იმ ღირებულებებს, რომლებიც ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ეპოქაში ადამიანის განვითარებასა და ჰუმანური ღირებულებების (თანასწორობის, თავისუფლების, ტოლერანტობის და სხვ.) დამკვირდებას უწყობს ხელს. ჩვენი კომპანიის ყოველდღიური საქმიანობა ამ ღირებულებების მხარდაჭერის ნიმუშია,“- აღნიშნა LAB-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ანა კაჭიურმა.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ MCERC-ის გამგეობის წევრი მაია ტორაძე და LAB-ის თანამშრომლები.

ჩვენი პარტნიორები

ცენტრი 2015 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საქართველოსა და უცხოეთში, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კომპანიებთან, საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრებთან.

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
South Caucasus

DW Akademie

Auswärtiges Amt

CHAVCHAVADZE CENTER
Ilia Chavchavadze Center for European Studies and Civic Education

media action nepal

UNIVERSITAS TPHILISENSIS
1918

RESEARCH
MCERC

COMMUNICATION
COMMUNICATION
COMMUNICATION

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

LAB

EDUCATION
EDUCATION
EDUCATION
EDUCATION

MEDIA MEDIA
MEDIA MEDIA
MEDIA MEDIA

ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ
მარკეტინგი და კომუნიკაციის
საერთაშორისო საგანათლო უნივერსიტეტი

მარიამ გერსამია

ცენტრის დამფუძნებელი და თავმჯდომარე

მარიამ გერსამია არის ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის დამფუძნებელი და თავმჯდომარე. მარიამი არის მედიაფსიქოლოგი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. სადოქტორო ხარისხი მოიპოვა 2004 წელს ჟურნალისტიკის განხრით. 2015-2017 წლებში მიიღო პოსტ-დიპლომური განათლება სხეულზე ორიენტირებულ ფსიქოთერაპიაში.

აკადემიურ სფეროში 21-წლიანი საქმიანობისას, იყო ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის დეპარატმენტის და პროგრამების ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ორგზის არჩეული წევრი (2010-2015), არის არაერთი ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორი. მარიამი სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მუშაობდა განათლების და მეცნიერების სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად და მინისტრის მრჩევლად (2006-2009), აღმასრულებელ დირექტორად შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (2009-2014).

ამჟამად მარიამი ხელმძღვანელობს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ თსუ-ში. არის სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის და სარედაქციო საბჭოს წევრი. არის ქალაქ ლუივილის (აშშ) საპატიო მოქალაქე. მისი ინტერესის სფეროებია: მედიაფსიქოლოგია, გენდერი და მედია, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მედიაგანათლება და პოლიტიკური კომუნიკაციები.

მაია ფორაძე

ცენტრის საბჭოს წევრი და უფროსი მკვლევარი

მაია ტორაძე არის ა(ა)ი პ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის გამგეობის წევრი და უფროსი მკვლევარი. მაია არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი.

მას აქვს სხვადასხვა მედიაგამოცემაში მუშაობის 30-წლიანი პრაქტიკა, მათ შორის ბექდური გამოცემებში („შანსი", კავკასიონი",„აქცენტი") კორესპონდენტად და რედაქტორად; ამჟამად არის თსუ–ის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედიაცენტრის თანამშრომელი.

მაია ტორაძემ პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 2005 წელს. სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა 2006 წელს ჟურნალისტიკის განხრით და ამჟამად არის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

იგი არის სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი, ასევე, 13 პუბლიცისტური კრებულის თანაავტორი და ხუთი წიგნის რედაქტორი. მაია ტორაძე ჩართულია სამეცნიერო–კვლევით პროექტებში. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში



ლიანა მარქარიანი

მკვლევარი

ლიანა გახლავთ მედიაფსიქოლოგი და ამჟამად იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციების პროგრამის დოქტორანტია. იგი აქტიურად თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრთან. მას აქვს მაგისტრის ხარისხი მედია კვლევებში (დაამთავრა თსუ-ს ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“), ამჟამად კი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეწამყვანი და ჟურნალისტია.

ლიანას კვლევითი ინტერესის ძირითადი სფეროებია: მედიის ეფექტები, ყალბი ინფორმაცია, პროპაგანდა, ეთნიკური უმცირესობების საკითხები, დეზინფორმაცია და სოციალური მედიის გავლენა მომხმარებლის ქცევაზე. მისი გამორჩეული კვლევითი ნაშრომებია: “ყალბი ამბები სოციალურ მედიაში (ქართული და სომხური მედიის მაგალითები)”, “ფსევდო-პოზიტიური ინფორმაცია და კოვიდ-19: ყალბი ამბების გაზიარების მიზეზები (ქართული სოციალური მედიის ანალიზი)” და “ქალების ხმა და გენდერული თანასწორობის გამოწვევები ქართულ მედია სივრცეში“, რომელიც მან MCERC-ის გუნდთან ერთად ჩაატარა.

ლიანა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში აქტიურად მონაწილეობს. მის ახლად ჩატარებულ ტრენინგ-კურსს - “ცრუ ინფორმაცია და მისი გავლენები” 500-ზე მეტი სტუდენტი და მოსწავლე ესწრებოდა (მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები სხვადასხვა რეგიონიდან). იგი 2021 წელს შეირჩა პროექტ M100 ახალგაზრდა ევროპელი ჟურნალისტების (M100YEJ) მონაწილედ. მის სტატიებს ეთნიკურ უმცირესობებსა და მრავალფეროვნებაზე მიღებული აქვს ჯილდო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისაგან. ლიანა საუბრობს სომხურ, ინგლისურ, რუსულ, ესპანურ და თურქულ ენებზე. ჩვენ ვამაყობთ მისი მიღწევებით, მათ შორის 2021 წელს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედლით ლიტერატურულ ქართულ ენაზე გამართულად საუბრისა და წერისათვის.

ნინი შენგელია

მკვლევარი

ნინი არის იურისტი, სოციალური მედიის სამართლის სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი. მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს: ციფრული კონსტიტუციონალიზმი, სოციალური მედიის პლატფორმების რეგულირება, თანა-რეგულირება და თვით-რეგულირება, ციფრული უფლებები, გენდერული თანასწორობა, სოციალური მედიის საბჭოები, პლატფორმების მმართველობა და პასუხისმგებლობა, ისევე, როგორც სოციალური მედია და ადამიანის უფლებები მყიფე დემოკრატიის ქვეყნებში.

ნინის დამთავრებული აქვს "King's College London"-ის სამართლის ფაკულტეტი და მაგისტრატურა BPP University-ში, წამყვანი იურიდიული კომპანიის Herbert Smith Freehills სრული დაფინანსებით. 2021 წელს, DAAD-ის გრანტის ფარგლებში, ნინი იყო მიწვეული მკვლევარი ჰუმბოლდტის ინტერნეტის და საზოგადოების ინსტიტუტში. 2016-2019 წლებში ნინი იყო მიწვეული ლექტორი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლის და პოლიტიკის ფაკულტეტზე. 2019 წლის შემდეგ ნინი არის ჰუმბოლდტის ინტერნეტის და საზოგადოების ინსტიტუტის ბაზაზე არსებული „ციფრული კონსტიტუციონალიზმის სამუშაო ჯგუფის" წევრი. 2020 წლიდან ნინი არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიწვეული ლექტორი.

ნინი შენგელია არის არაერთი საერთაშორისო კონფერენციის და სამეცნიერო აქტივობის ორგანიზატორი (მათ შორის, 2020 წელს მან ორგანიზება გაუკეთა მრგვალ მაგიდას „კონტენტის მართვა სოციალურ მედიაში, დეზინფორმაცია და მედიაწიგნიერება - სამართლებრივი ასპექტები". 2021 წელს HIIG-ის მკვლევარ და დუბლინის „სიტი უნივერსიტეტის" პროფესორ ედოარდო ჩელესტესთან ერთად სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „ადამიანის უფლებები ციფრულ ეპოქაში: ონლაინ დეზინფორმაციის რეგულირება: ევროპული თვალსაზრისი"). ნინი ასევე მუშაობდა კომუნიკაციების კომისიაში, წამყვან იურიდიულ კომპანიებში Herbert Smith Freehills და Stephenson Harwood და ამჟამად არის პარტნიორი კერძო საკონსულტაციო კომპანიაში, the Capstone Group.

ნანა მამაგულიშვილი

მკვლევარი

ნანა მამაგულიშვილი არის MCERC-ის წევრი 2017 წლიდან. ის არის ჟურნალისტი და პროდიუსერი 28–წლიანი გამოცდილებით. სწავლობს სადოქტორო პროგრამაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ნანას აქვს 15-წლიანი გამოცდილება საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში და საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამზებზე სწავლების 8-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება.

იგი ხელმძღვანელობს პროფესიულ საგანმანათლებელო პროგრამას „ღონისძიების ორგანიზება“ თსუ-ში.

ლისა ლლონგფი

კრეატიული კონსულტანტი

ლისა ჩვენი გუნდის კრეატიული კონსულტატია 2018 წლიდან. მას კრეატიულ სფეროში მულტიდისციპლინური გამოცდილება აქვს. ლისას უმუშავია ბრენდ დიზაინზე სხვადასხვა ორგანიზაციისა და ინდუსტრიისათვის.

2020 წელს, ლისამ დააარსა კრეატიული სააგენტო Notam, სადაც პროექტებს უძღვება როგორც არტ-დირექტორი და ლიდ-დიზაინერი. 2018 წლიდან 2021 წლის ჩათვლით სწავლობდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ჯიპაში) აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების ფაკულტეტზე.

ლისა 2022 წლის აპრილიდან ბერლინში განაგრძობას კარიერულ წინსვლას და Miami Ad School Europe-ში Art Direction-ის პროგრამაზე ისწავლის.

საკონტაქტო ინფორმაცია

https://www.mcerc.ge/

info@mcerc.ge

https://www.facebook.com/mcerc.ge

https://www.linkedin.com/company/media-and-communication-educational-research-center-mcerc

https://www.instagram.com/mcerc_georgia/

https://www.youtube.com/channel/UC3_i2bOPl8cfSeboj4KcnlQ

MCERC
MEDIA
&
COMM
UNI
CATION
EDUCATION
RESEARCH
MCERC
MEDIA
&
COMM
UNI
CATION
EDUCATION
RESEARCH

MCERC